

ქართული ენა უცხოელი მემსწავლელებისთვის

ასპექტი

საკვარჯიშოების რვეული

A1

ენის გასაღები

ქართული როგორც უცხო ენა



“აღმართის” A1 დონის სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ავტორი — **თეა ტეტელოშვილი**
რედაქტორი — **რუსუდან ზექალაშვილი**

ილუსტრატორ-დიზაინერი — **ქეთევან ლომიშვილი**
ფოტოგრაფი — **თამარ წიკლაური**
დამკაბადონებელი — **ტატიანა საბანაძე**

რეცენზენტი — **იასუჰირო კოჯიმა**
გარეკანზე გამოყენებულია პროფესორ ქევინ თუითის ხელნაწერი.

“აღმართის” (A1) მოსასმენი დავალებების ჩაწერაზე მუშაობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **რუსუდან ზექალაშვილი** და სტუდენტები: **სოფო ძიგუა, ლიკა ბეკურაშვილი, ირაკლი მაჭარაშვილი, ილია ქიბროწაშვილი, კოტე ზურაშვილი, მარიამ გვასალია, ირაკლი სალია, თეონა მეტრეველი, გიორგი ლომსაძე, გიუნაი იბადოვა.**

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს “ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების” პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — **მარიკა ოძელი**

ISBN 978-9941-0-6801-0

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
“ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების” პროგრამა, 2013

გაკვეთილი 1

დავალება 1 მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და ფოტოებს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი სიტყვები.


1

_____


2

_____


3

_____


4

_____


5

_____



6

_____


7

_____



8

_____


9

_____

დავალება 2 იპოვეთ გამოტოვებული მარცვლები და დაასრულეთ სიტყვები.

ლამ_____

ტელეფო_____

ოფი_____

კომ_____უტერი

ფო_____


_____ფე

პასპორ_____

_____რისტი

_____პერმარ_____ტი

ოპე_____



დავალება 3

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და აღნიშნეთ ის მარცვლები, რომლებსაც გაიგონებთ.

კა	
კე	
კი	
კო	
კუ	

ლა	
ლე	
ლი	
ლო	
ლუ	

მა	
მე	
მი	
მო	
მუ	

ნა	
ნე	
ნი	
ნო	
ნუ	

პა	
პე	
პი	
პო	
პუ	

რა	
რე	
რი	
რო	
რუ	

სა	
სე	
სი	
სო	
სუ	

ტა	
ტე	
ტი	
ტო	
ტუ	

ფა	
ფე	
ფი	
ფო	
ფუ	

დავალება 4

დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ წინადადებები.

1. _____ (არის, ეს, ფოტო)
2. _____ (ტურისტი, არ, არის, ეს)
3. _____ (არის, არ, ეს, კომპიუტერი)
4. _____ (ეს, სტუდენტი, არის)
5. _____ (კაფე, არ, არის, ეს)
6. _____ (არის, ეს, არ, სუპერმარკეტი)
7. _____ (ეს, აეროპორტი, არის)
8. _____ (არის, პასპორტი, ეს)
9. _____ (ოფისი, არ, არის, ეს)
10. _____ (ეს, ტელეფონი, არის)

დავალება 5

დაწერეთ უფრო მოკლე წინადადებები, თუ ეს შესაძლებელია.

მაგალითი: ეს არის კაფე. **ეს კაფეა** .

1. ეს არის სტუდენტი. _____
2. ეს არ არის პასპორტი. _____
3. ეს არის ოპერა. _____
4. ეს არის ოფისი. _____
5. ეს არ არის კომპიუტერი. _____
6. ეს არის ტელეფონი. _____

დავალება 6

ფოტოების მიხედვით დაწერეთ წინადადებები.



მაგალითი:

ეს არის კომპიუტერი.
აი, კომპიუტერი.


1


2




3


4



5


6

დავალება 7

მოისმინეთ ჩანაწერი და აღნიშნეთ ის წინადადებები, რომლებსაც გაიგონებთ.

1. აი, ოფისი. ☐
2. ეს სოფოა. ☐
3. ეს არ არის კაფე. ☐
4. ეს არ არის სუპერმარკეტი. ☐
5. ეს აეროპორტია. ☐
6. ეს არ არის აეროპორტი. ☐
7. ეს არის აეროპორტი. ☐
8. აი, ტელეფონი. ☐
9. ეს არის ტელეფონი. ☐
10. ეს არ არის ტელეფონი. ☐
11. ეს არის კომპიუტერი. ☐
12. ეს კომპიუტერია. ☐
13. აი, კომპიუტერი. ☐
14. ეს ლამპაა. ☐
15. ეს ლალაა. ☐

დავალება 8

მოისმინეთ ჩანაწერი და ხაზი გაუსვით იმ სიტყვას, რომელსაც გაიგონებთ.

1. კომპიუტერი, კომფიუტერი, კომფიუთერი;
2. პოთო, პოტო, ფოტო;
3. ტელეპონი, ტელეფონი, თელეპონი;
4. ინტერნეთი, ინტერნეტი, ინთერნეთი;
5. პასპორთი, ფასფორთი, პასპორტი;
6. თურისთი, ტურისტი, თურისტი.

გაკვეთილი 2

დავალება 1

მოისმინეთ ჩანაწერი და სიტყვის დასაწყისს დაუკავშირეთ დაბოლოება.

თბილი	ხაი
ავსტრა	სი
შან	ნი
პარი	ზი
აფრი	ნი
რო	მი
ვაშინგტო	პა
ტო	კა
ევრო	დი
მადრი	კიო
ათე	ნი
ბერლი	კა
ამერი	დაბი
აბუ-	ლია

დავალება 2

შეავსეთ კროსვორდში გამოტოვებული ასოები ისე, რომ მიიღოთ დავალება 1-ში შედგენილი სიტყვები.

		ა	თ			ი		
		ა	ბ		-	დ	ა		ი
რ		მ	ი					
ბ			ლ	ი		ი		
პ		რ	ი		ი			
	ა		ს			ა		ი	ა
მ	ა			ი		ი		

დავალება 3

მოკლე წინადადებას მიუწერეთ ვრცელი ვარიანტი, ხოლო ვრცელ წინადადებას – მოკლე.

მაგალითი: ეს არის რომი. ***ეს რომია***.

1. ეს არის თბილისი. _____
2. ეს ვაშინგტონია. _____
3. ეს შანხაია. _____
4. ეს არის პარიზი. _____
5. ეს არის ბერლინი. _____
6. ეს ტოკიოა. _____
7. ეს არის მადრიდი. _____
8. ეს ლონდონია. _____

დავალება 4

ფოტოების მიხედვით უპასუხეთ კითხვებს.



1

ეს ევროპაა?

_____



2

ეს აზიაა?

_____



3

ეს არის ამერიკა?

_____



4

ეს აფრიკაა?

_____



5

ეს არის ავსტრალია?

_____



6

ეს აბუ-დაბია?

_____



7

ეს არის პარიზი?

_____



8

ეს თბილისია?

_____



9

ეს ლონდონია?

_____

დავალება 5

მოისმინეთ ჩანაწერი და აღნიშნეთ წინადადებები, რომლებსაც გაიგონებთ.

1. მე ვარ დავითი. ☐
2. მე არ ვარ ანა. ☐
3. ეს არის ანა. ☐
4. ეს არ არის თორნიკე. ☐
5. მე არ ვარ ზურაბი. ☐
6. მე ვარ ლაშა. ☐
7. ეს არის ბერლინი. ☐
8. ეს არ არის პარიზი. ☐
9. ეს არის ტოკიო. ☐
10. მე ვარ გვანცა. ☐

დავალება 6

მაგალითის მიხედვით დაწერეთ წინადადებები.

მაგალითი: აი, შანხაი. ***ეს არის შანხაი. ეს შანხაია. დიახ, ეს არის შანხაი. დიახ, ეს შანხაია. არა, ეს არ არის შანხაი.***

1. აი, პარიზი. _____

_____

2. აი, ნანა. _____

_____

3. აი, აზია. _____

_____

4. აი, ბერლინი. _____

_____

5. აი, ნიკო. _____

_____

6. აი, თეატრი. _____

_____

დავალება 7

წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

1. – გამარჯობა! მე ვარ დავითი!
   – გამარჯობა! მე _____ ნუცა!
2. – გამარჯობა, გიორგი!
   – _____, ანა!
3. მე ვარ შოთა. მე _____ ვარ ზურაბი.
4. _____ ვარ გვანცა. მე არ _____ ნინო.
5. _____ არის თორნიკე. ეს არ _____ თომა.
6. _____ ვარ სტუდენტი. მე _____ _____ მენეჯერი.
7. ეს _____ თბილისი. _____ არ _____ თელავი.
8. _____, მარი!
   – გამარჯობა, ლაშა!

ვარ (3×),
მე (2×),
ეს (2×),
არის (3×),
გამარჯობა (2×),
არ (2×)

დავალება 8.

ა) დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ წინადადებები.

მაგალითი: __გამარჯობა, მე ვარ თიკო__. (თიკო, ვარ, გამარჯობა, მე)

1. _____. (მე, გამარჯობა, ლუკა, ვარ)
2. _____? (ბერლინი, ეს, არის)
3. _____. (ეს, არის, დემეტრე, არ)
4. _____. (არის, ეს, არ, კომპიუტერი)
5. _____? (არის, ეს, ოფისი)
6. _____. (ევროპა, აი)
7. _____. (რომი, დიახ, ეს, არის)
8. _____. (არის, არ, ეს, არა, ავსტრალია)
9. _____. (თეატრი, ეს, არა, არ, არის)

ბ) მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და შეამოწმეთ თქვენ მიერ შესრულებული დავალება.

დავალება 9

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და ხაზი გაუსვით იმ სიტყვას, რომელსაც გაიგონებთ.

1. თოკიო, ტოკიო, ტოკო
2. პარისი, ფარისი, პარიზი
3. ნიკო, ნინო, ნინა
4. ცაცა, ნუცა, ცუცა
5. სტუდენტი, სთუდენტი, სტუდენთი
6. ავსტრალია, ავსტრია, ავსთრალია



გაკვეთილი 3

დავალება 1

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და აღნიშნეთ მარცვლები, რომლებსაც გაიგონებთ.

ჟა	
ჟე	
ჟი	
ჟო	
ჟუ	

ქა	
ქე	
ქი	
ქო	
ქუ	


ღა	
ღე	
ღი	
ღო	
ღუ	

ჩა	
ჩე	
ჩი	
ჩო	
ჩუ	

პა	
პე	
პი	
პო	
პუ	

დავალება 2

ეს თუ **ის**? ნახატის მიხედვით წინადადებაში ჩასვით მართებული ვარიანტი.



1. _____ არის ჟურნალი.
2. _____ არის ტელეფონი.
3. _____ არის ფოტო.
4. _____ არის კომპიუტერი.
5. _____ არის ჩაი.
6. _____ არის ჰამბურგერი.
7. _____ არის ტაქსი.
8. _____ არის ავტობუსი.

დავალება 3

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და ხაზი გაუსვით იმ სიტყვას, რომელსაც გაიგონებთ.

1. დირექტორი, დირექთორი, დირეკტორი
2. ტაკსი, ტაქსი, თაქსი
3. ავთობუსი, ავტობუზი, ავტობუსი
4. პროდუკტი, პროდუქტი, ფროდუქტი
5. კონცელტი, კონცელთი, კონცერტი
6. კორფუსი, ქორპუსი, კორპუსი
7. ამერიკა, ამერიქა, ამელიკა
8. ჯურნალისთი, ჟურნალისტი, ჟურნალისტი

დავალება 4

მაგალითის მიხედვით დაწერეთ წინადადებები.

მაგალითი: მე ვარ სტუდენტი. ***შენ ხარ სტუდენტი***.
ის არის სტუდენტი.



1. შენ ხარ მენეჯერი.

მე _____.

ის _____.



2. ის არის დირექტორი.

მე _____.

შენ _____.



3. მე ვარ ტურისტი.

შენ _____.

ის _____.



4. ის არ არის ჟურნალისტი.

მე _____.

შენ _____.



5. შენ არ ხარ ზაზა.

მე _____.

ის _____.



6. მე არ ვარ ნინო.

შენ _____.

ის _____.

დავალება 5 აღნიშნეთ გრამატიკულად სწორი წინადადებები.

1. ეს ვარ ამერიკა. ☐
   ეს ხარ ამერიკა. ☐
   ეს არის ამერიკა. ☐

2. მე არ ვარ სტომატოლოგი. ☐
   შენ არ ვარ სტომატოლოგი. ☐
   ის არ ხარ სტომატოლოგი. ☐

3. შენ არის ნინი? ☐
   შენ ხარ ნინი? ☐
   ის ვარ ნინი? ☐

4. თამარი არის პროფესორი. ☐
   თამარი ვარ პროფესორი. ☐
   თამარი ხარ პროფესორი. ☐

5. ეს ხარ ჰამბურგერი? ☐
   ეს არის ჰამბურგერი? ☐
   ეს ვარ ჰამბურგერი? ☐

6. მე ვარ ჟურნალისტი. ☐
   შენ ვარ ჟურნალისტი. ☐
   ის ვარ ჟურნალისტი. ☐

7. ეს არის მუზეუმი. ☐
   ეს ვარ მუზეუმი. ☐
   ეს ხარ მუზეუმი. ☐

8. ეს ხარ ნათია? ☐
   შენ ხარ ნათია? ☐
   შენ არის ნათია? ☐

დავალება 6 დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ წინადადებები.

1. _____.
   (ჯავახიშვილი, ვარ, შოთა, მე)

2. _____?
   (მარიამი, შენ, ხარ)

3. _____.
   (არის, არ, თეატრი, ეს)

4. _____.
   (ვარ, არ, სტუდენტი, მე, არა)

5. _____.
   (არის, არ, ჰამბურგერი, ეს)


6. _____?
   (არის, ქეთი, ის)

7. _____.
   (სტომატოლოგი, ხარ, არ, შენ)

8. _____.
   (ეს, მუზეუმი, არის, დიახ)

დავალება 7

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და სიტყვები (ავტობუსი, მენეჯერი, ტაქსი,ღვინო, ჟურნალი, დირექტორი, მუზეუმი, ჩაი, მეტრო) ჩასვით კროსვორდში მითითებული მიმართულებით:
1, 2, 3, 4 – ↓; 5, 6, 7, 8, 9 – →.



დავალება 8

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და ასოებისგან ააწყვეთ სიტყვები.

ა (4×), ბ, გ (2×), დ, ე (5×), ვ, ი (9×), ლ (2×), მ (3×), ნ (3×), ო (5×), ჟ, რ (6×), ს (2×), ტ (4×), უ (2×), ქ, ღ, ჩ, ჯ, ჰ

1. _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____
2. _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____
3. _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____
4. _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____
5. _____ _____ _____ _____ _____
6. _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____
7. _____ _____ _____

გაკვეთილი 4

დავალება 1

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და დააკავშირეთ სიტყვა ფოტოსთან.


1.


2.


3.


4.

წყალი

ხაჭაპური

ყავა

ჩაი

წვენი

პიცა

ღვინო

რძე


5.



6.


7.


8.

დავალება 2

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და აღნიშნეთ მარცვლები, რომლებსაც გაიგონებთ.

ყა	
ყე	
ყი	
ყო	
ყუ	

ძა	
ძე	
ძი	
ძო	
ძუ	

წა	
წე	
წი	
წო	
წუ	

ჭა	
ჭე	
ჭი	
ჭო	
ჭუ	

დავალება 3

ფოტოების მიხედვით დაწერეთ წინადადებები.



მაგალითი:

ეს არის ღვინო.

ეს არ არის ჩაი.



1.



2.



3.



4.




5.



6.

დავალება 4

„დავალება 3-ის“ ფოტოების შესაბამისი სიტყვები ჩასვით კროსვორდში მითითებული მიმართულებით: 1, 2 – ↓; 3, 4, 5, 6 – →.



დავალება 5

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და ხაზი გაუსვით იმ სიტყვას, რომელსაც გაიგონებთ.

1. წყალი, წკალი, ცკალი
2. კავა, ქავა, ყავა
3. ცვენი, წვენი, თსვენი
4. ღვინო, ვინო, გვინო
5. ხაჩაპური, ხაჭაპური, ქაჩაპური
6. მწვადი, მცვადი, ცვადი
7. ქინქალი, ქინკალი, ხინკალი

დავალება 6

ჩასვით საჭირო სიტყვა გრამატიკულად სწორი ფორმით.

1. მე _____ ჟურნალისტი.
2. ის _____ სტუდენტი.
3. შენ არ _____ სტომატოლოგი.
4. _____ არის თბილისი?
5. _____ ხარ გიორგი?
6. _____ არ ვარ ეკატერინე.
7. ეს _____ დაჩი. დაჩი _____ მენეჯერი.
8. მე _____ ტურისტი.


დავალება 7

წაშალეთ სვეტებში უმართებულოდ ჩაწერილი სიტყვები.

ჩაი	ხინკალი	მენეჯერი	დავითი
ყავა	კრუასანი	გიორგი	ნიკოლოზი
წვენი	სალათა	დირექტორი	მარიამი
~~ხაჭაპური~~	ჟურნალი	ჟურნალისტი	სტუდენტი
წყალი	პიცა	სტომატოლოგი	თორნიკე

დავალება 8

ვინ? თუ **რა?** ნახატებს მიუწერეთ სწორი კითხვა.



დავალება 9

გრამატიკულად არასწორი წინადადებები გადახაზეთ და გაასწორეთ.

მაგალითი: მე ვარ გვანცა ქართველიშვილი. მე ხარ სტუდენტი. **მე ვარ სტუდენტი**.

1. რა არის ის? ის არის გიორგი. _____
2. ვინ არის შენ? შენ ხარ სტუდენტი. _____
3. ეს არ ხარ რძე. ეს არის წყალი. _____
4. ვინ არის ის? ის არის ღვინო. _____
5. რა არის ის? ის ვარ ტაქსი. _____
6. შენ არის მენეჯერი? მე არ ხარ სტუდენტი. _____
7. ვინ ვარ სტომატოლოგი? შოთა არის სტომატოლოგი. _____
8. ეს არ ხარ ავტობუსი. რა არის ეს? ეს არის ტაქსი. _____
9. ეს თეატრია? არა, ეს არ ხარ თეატრი. ეს უნივერსიტეტია. _____
10. რა ხარ ეს? ეს არის სუპერმარკეტი. ეს არ ხარ აეროპორტი. _____

დავალება 10

ჰკითხეთ თქვენს მეგობარს და თქვენც უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხები დაწერეთ.

1. ვინ ხარ შენ?

   მე ვარ _____.

2. ვინ არის ის?

   _____.





გაკვეთილი 5

დავალება 1 მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და აღნიშნეთ ის მარცვალი, რომელიც სჭირდება სიტყვას.

1.	ბან_____	ქი კი	☐ ☐	11.	სტუდენ_____	თი ტი	☐ ☐
2.	მე_____	ტრო თრო	☐ ☐	12.	_____ი	ცა ჩა	☐ ☐
3.	_____ნალი	ჯურ ჟურ	☐ ☐	13.	_____ლი	ცკა წყა	☐ ☐
4.	ინ_____ნეტი	თერ ტერ	☐ ☐	14.	_____ნი	წვე ცვე	☐ ☐
5.	_____ნო	გვი ღვი	☐ ☐	15.	ამერი_____	ქა კა	☐ ☐
6.	შან_____	ჰაი ხაი	☐ ☐	16.	ნი_____	კო ქო	☐ ☐
7.	ა_____ნი	ტე თე	☐ ☐	17.	ხა_____პური	ჩა ჭა	☐ ☐
8.	_____ლეფონი	თე ტე	☐ ☐	18.	ტა_____	კსი ქსი	☐ ☐
9.	ო_____სი	ფი პი	☐ ☐	19.	_____ვა	კა ყა	☐ ☐
10.	პას_____ტი	ფორ პორ	☐ ☐	20.	_____ატრი	ტე თე	☐ ☐

დავალება 2 მოცემულ ასოებს 2-2 ხელნაწერი ვარიანტი აქვს. დააკვირდით ასოს მოხაზულობას და გამოიცანით მოცემული ასოებიდან რომელი რომლის ხელნაწერი ვარიანტი შეიძლება იყოს.

დ ღ რ ხ ს ჩ ნ ლ წ

დავალება 3

დაწერეთ მოცემული სიტყვები. გამოიყენეთ ხელნაწერ ასოთა მოხაზულობის ვარიანტები.

დირექტორი

პროფესორი

აეროპორტი

სტუდენტი

ჟურნალისტი


წყალი

ლონდონი

დოდო

დავალება 4

დააკვირდით სხვადასხვა შრიფტით დაბეჭდილ სიტყვებს და გამოიცანით, რომელია ამავე შრიფტით დაწერილი ასოები.



დავალება 5

ფოტოების მიხედვით შეავსეთ კროსვორდი. სიტყვების კროსვორდში ჩაწერეთ მითითებული მიმართულებით:
1, 6, 7, 11, 12, 13 – ↓; 2, 3, 4, 5, 8, 9, 10, 14, 15 – →































					7.							13.		
				1.	8.									
2.														
				3.				10. 11.				12.		
		4.												
			9.											
	5.	6.				14.								
				15.										

დავალება 6

ჩასვით **აქ/იქ, ეს/ის**.

1. ეს არის ჟურნალისტი. ეს ჟურნალისტი არის _____ .
2. იქ არის უნივერსიტეტი. _____ უნივერსიტეტია.
3. ის არის თეატრი. თეატრი არის _____.
4. ეს ლაშაა. ლაშა არის _____.
5. აქ არის ნინო. _____ ნინოა.
6. იქ სუპერმარკეტია. _____ არის სუპერმარკეტი.
7. აი, ლიმონი. _____ ლიმონია. ლიმონი არის _____.
8. ის ბანკია. ბანკი არის _____. ბანკი არ არის _____.

დავალება 7

ჩასვით სიტყვები სწორი ფორმით.

1. აი, ოთხი _____ (კომპიუტერი /კომპიუტერები).
2. აქ _____ (არის/არიან) ორი _____ (პასპორტი/პასპორტები).
3. ჩვენ _____ (ვარ/ვართ) მენეჯერები.
4. თქვენ ჟურნალისტები _____ (ხარ/ხართ)?
5. იქ _____ (არის/არიან) სამი _____ (კაფე/კაფეები).
6. მე _____ (ვარ/ვართ) _____ (სტუდენტი/სტუდენტები).
7. ისინი _____ (არის/არიან) _____ (ტურისტი/ტურისტები).
8. აქ _____ (არის/არიან) ცხრა _____ (ტელეფონი/ტელეფონები).
9. შენ აქ _____ (ხარ/ხართ)? ნინო აქ არ _____ (არის/არიან)?
10. აი, ფოტოები. აი, ხუთი _____ (ფოტო/ფოტოები). ეს არ _____ (არის/არიან) ჟურნალები.

დავალება 8

დაუსვით კითხვა ხაზგასმულ სიტყვებს.

აქ არის <u>ორი</u> <u>კაფე</u>.

1. _____
2. _____
3. _____

იქ არიან <u>სტომატოლოგები</u>.

1. _____
2. _____

დავალება 9

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და დაწერეთ სიტყვები, რომლებსაც გაიგონებთ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

გაკვეთილი 6

დავალება 1

დაწერეთ სიტყვები ისეთი ფორმით, რომ გამოიხატოს კუთვნილება.

მაგალითი: ***ჩემი ფოტო.*** ფოტო (მე)

ა
1. _____ კომპიუტერი (ის)
2. _____ ტელეფონი (შენ)
3. _____ უნივერსიტეტი (ჩვენ)
4. _____ ოფისი (ისინი)
5. _____ კაფე (ის)
6. _____ წყალი (თქვენ)
7. _____ ხაჭაპური (ჩვენ)
8. _____ წვენი (მე)
9. _____ ვიზა (შენ)
10. _____ ჟურნალები (თქვენ)

ბ
1. _____ დედა (ნინო)
2. _____ ძმა (ლუკა)
3. _____ ფოტო (თორნიკე)
4. _____ პასპორტი (ნუნუ)
5. _____ ოჯახი (გიორგი)
6. _____ და (ნიკო)
7. _____ ყავა (ანა)
8. _____ ჩაი (სოფო)
9. _____ ღვინო (ზურა)
10. _____ სალათა (მერი)

დავალება 2

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და შემოხაზეთ ის რიცხვები, რომლებსაც გაიგონებთ.

11	15	17	19	20	21	23	24	27	30	31	32	41
51	55	45	43	34	57	75	79	80	81	88	100	



დავალება 3

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და დაწერეთ, ვინ რამდენი წლის არის.

1. ლუკა არის _____ წლის.
2. თიკო არის _____ წლის.
3. ნიკოლოზი არის _____ წლის.
4. დედაჩემი არის _____ წლის.
5. მამაჩემი არის _____ წლის.
6. მისი ბებია არის _____ წლის.
7. ეს თეატრი არის _____ წლის.
8. ის არის _____ წლის.
9. მე ვარ _____ წლის.
10. ჩემი და არის _____ წლის.

დავალება 4

უპასუხეთ კითხვებს და ჰკითხეთ თქვენს მეგობარს.

1. რამდენი წლის ხარ შენ? _____
2. რამდენი წლის არის დედაშენი? _____
3. რამდენი წლის არის მამაშენი? _____
4. რამდენი წლის არის შენი და/ძმა? _____

დავალება 5

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და დაწერეთ გამოტოვებული სიტყვები.

ვინ არის?	სახელი	რამდენი წლის არის?
დედა		
	დავითი	
	ნიკა	
		სამოცდათოთხმეტი
პაპა		

დავალება 6

ნახატის მიხედვით დაწერეთ რომელი ნივთი ვისია.



მე




შენ




ის




ჩვენ




თქვენ





ისინი

1. აი, _____ ტელეფონი.
2. აი, _____.
3. აი, _____.
4. აი, _____ ყავა.
5. აი, _____.
6. _____.
7. _____.
8. _____.


დავალება 7

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და ნახატზე მიუწერეთ, ვინ ვინ არის.



!

პაპა = ბაბუა
ეს არის ვანო.
ვანო ნინოს პაპაა
ვანო ნინოს ბაბუაა.



დავალება 8

დაუსვით კითხვა ხაზგასმულ სიტყვებს.

ა<u>ქ</u> არის <u>ნ</u>ი<u>ნ</u>ოს <u>ორი</u> <u>ძმა</u>.

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.

<u>იქ</u> არის <u>ჩ</u>ვ<u>ენი</u> <u>კომპიუტერი</u>.

1. _____.
2. _____.
3. _____.

დავალება 9 ჰკითხეთ თქვენს მეგობარს ოჯახის წევრების შესახებ და პასუხები დაწერეთ.

დავალება 10 ისაუბრეთ თქვენი ოჯახის შესახებ (ვინ არის თქვენი დედა, მამა, პაპა, ბებია, და, ძმა, ცოლი/ქმარი?)

გაკვეთილი 7

დავალება 1

სვეტებში გაანაწილეთ სიტყვები:

ყურები
ხელები
კისერი
წარბები
ფეხები
თვალები
პირი
ცხვირი

სახე	ტანი

დავალება 2

ჩასვით საჭირო ზმნა.

1. მე _____ კატა. ეს ჩემი კატაა.
2. მას არ _____ ყავა. მას _____ წვენი.
3. მას _____ და. ნინო მისი დაა.
4. აქ რამდენი ხაჭაპური _____ ? – სამი!
5. მე მყავს და. ჩემი და _____ ნინო.
6. ჩვენ _____ ტელეფონები. აი, ჩვენი ტელეფონები.
7. მას _____ ჟურნალი.
8. თქვენ _____ ძმა?
9. ეს _____ გოგას ძაღლი. გოგას ძაღლი _____ შავი.
10. მას არ _____ ძაღლი.
11. მე არ _____ ვიზა. ეს ვისი ვიზა _____ ?
12. თქვენ არ _____ წვენი?
13. შენ _____ კომპიუტერი. ეს შენი კომპიუტერია.
14. ეს _____ ანას კაბა. მისი კაბა _____ წითელი.
15. გიორგი დათოს ძმა _____. ანა დათოს და არ _____.
    ანა დათოს მეგობარი _____.

დავალება 3

ა) ისაუბრეთ ნინოს, დათოსა და მარიამის გარეგნობაზე.







ბ) დაწერეთ სამ-სამი წინადადება ნინოს, დათოსა და მარიამის შესახებ. გამოიყენეთ სიტყვები: აქვს / ჰყავს.

ნინო

1. _____
2. _____
3. _____

დათო

1. _____
2. _____
3. _____


მარიამი


1. _____
2. _____
3. _____

დავალება 4 რა ფერისაა?











თეთრი კატა _____ ძაღლი _____ _____




_____




_____



_____



_____



_____



_____



_____



_____

დავალება 5

რა გაქვს /არ გაქვს ჩანთაში?
ჰკითხეთ თქვენს მეგობარს და ისაუბრეთ თქვენზე.
პასუხების მიხედვით დაწერეთ წინადადებები.

1. მე მაქვს _____.
2. მე მაქვს _____.
3. _____.
4. მე არ მაქვს _____.
5. მე არ _____.
6. მას აქვს _____.
7. _____.
8. _____.
9. მას არ აქვს _____.
10. მას არ _____.

დავალება 6

ხაზებით შეაერთეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.

დაბალი	**შავი**
გრძელი	**დიდი**
პატარა	**მაღალი**
თეთრი	**მოკლე**

დავალება 7

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები.

1. ნინოს ტელეფონი _____.
2. ეს ჩემი _____.
3. აი, _____ შამპუნი.
4. აქ არ არის _____.
5. ეს _____ ლურჯია.
6. ჩემი _____ შავია.
7. ნინოს _____ წითელია.
8. ეს არ არის ჩემი _____. ჩემი _____ ყვითელია.
9. აი, _____ რვეული.
10. ეს _____ წიგნები არის?
11. ეს ვისი _____? – ჩემი!
12. ეს შარვალი _____ არ არის. ეს _____ ლურჯია.

დავალება 8

მოისმინეთ აუდიოჩანაწერები და დიალოგში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები.

– გამარჯობა, თიკო!
– _____! როგორ ხარ, დათო?
– კარგად! შენ?
– მეც!

– გამარჯობა, _____ ნინო!
– გამარჯობა, _____ ნიკო!
– ეს _____ წიგნია, ბატონო ნიკო?
– დიახ, გმადლობთ!

– გვანცა, ეს ჩემი დაა. ეს ჩემი _____ არის. ესენი ჩემი _____ _____ ძმა არიან.
– სასიამოვნოა!

– რამდენი წლის _____, _____ ელენე?
– _____!
– გმადლობთ!

გაკვეთილი 8

დავალება 1 მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და წინადადებებში ჩაწერეთ გამოტოვებული სიტყვები.

1. ნინო არის _____.
2. ჩვენ ვართ _____.
3. ჯონი არის _____.
4. თქვენ _____ ხართ?
5. არტური და სამველი _____ არიან.
6. ჟერარდი _____ არის?
7. მე არ ვარ _____, მე _____ ვარ.
8. სემი არ არის _____. ხორხე არის _____.
9. დიანა და სოფია _____ არიან?
10. თავრიზი არის _____.

დავალება 2 ჩემ შესახებ ინფორმაციის მსგავსად დაწერეთ ჯესიკასა და ლუკას შესახებ ინფორმაცია.

მე ვარ თორნიკე. მე ვარ საქართველოდან. მე ვსწავლობ უნივერსიტეტში. მე ვარ სტუდენტი. მე ვიღვიძებ შვიდ საათზე, ვიბანი, ვჭამ საუზმეს და მივდივარ უნივერსიტეტში. მე უნივერსიტეტში ფეხით არ მივდივარ, ავტობუსით მივდივარ. დღეს ხუთშაბათია და ახლა უნივერსიტეტში ვარ, ლექციები მაქვს. მერე შინ მივდივარ. მე ყოველთვის შინ ვარ ათს რომ ოცი წუთი აკლია. მე ვიძინებ თორმეტის თხუთმეტ წუთზე.

შენ ხარ ჯესიკა. შენ ხარ ინგლისიდან. _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ის არის ლუკა. ლუკა არის იტალიიდან. _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

დავალება 3

წინადადებაში სიტყვა ჩასვით სწორი ფორმით.

1. მე მივდივარ _____ (უნივერსიტეტი).
2. მე შინ მივდივარ _____ (ტაქსი).
3. მე არ მივდივარ შინ _____ (18:00).
4. შენ იღვიძებ _____ (07:45).
5. ნინო იძინებს _____ (23:30).
6. ანა მიდის _____ (საფრანგეთი).
7. გიორგი არ მიდის _____ (აეროპორტი).
8. თორნიკე არის _____ (კაფე).
9. სამანტა არის _____ (პერუ).
10. ხუანი არ არის _____ (ბრაზილია).
11. შენ იბან _____ (თმას) ?
12. ის იბანს _____ (ხელები).
13. ახლა _____ (13:25).
14. მე არ ვსწავლობ _____ (კვირა).
15. მე კოლეჯში მივდივარ _____ (ორშაბათი).
16. დღეს არის ოთხშაბათი. გუშინ _____ (არის) სამშაბათი.
17. დღეს არის ხუთშაბათი. ხვალ _____ (არის) პარასკევი.
18. ანგელა არის _____ (გერმანია).
19. სპექტაკლი იწყება _____ (20:00).
20. სპექტაკლი არ იწყება _____ (19:45).

დავალება 4

ა) უპასუხეთ კითხვებს:

1. ვინ ხარ შენ? _____
2. საიდან ხარ შენ? _____
3. რომელ საათზე იღვიძებ? _____
4. რომელ საათზე იძინებ? _____
5. რომელ საათზე მიდიხარ უნივერსიტეტში / კოლეჯში? _____

ბ) დაუსვი შენს მეგობარს მსგავსი კითხვები და უპასუხე მის შეკითხვებს.

დავალება 5

მოცემულია გვანცას გეგმა. ამ გეგმის მიხედვით დაწერეთ წინადადებები.

07:30 – ვიღვიძებ.
07:35 – ვიბანი.
08:00 – ვსვამ ყავას.
08:45 – მივდივარ უნივერსიტეტში.
09:00 – მაქვს ლექციები.
11:00 – ვჭამ.
13:30 – მოვდივარ უნივერსიტეტიდან.
14:00 – ვარ კაფეში და ვჭამ.
15:00 – მივდივარ ბიბლიოთეკაში.
18:00 – მოვდივარ ბიბლიოთეკიდან სახლში.
23:30 – ვიძინებ.

მაგალითი: **გვანცა იღვიძებს რვის ნახევარზე.**

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____
8. _____
9. _____
10. _____

დავალება 6

ა) წინადადებაში ჩასვით სწორი ვარიანტი.

1. ნინო იღვიძებს _____ (რვა საათს, რვა საათში, რვა საათზე).
2. ლუკა ჩაის სვამს _____ (ცხრის თხუთმეტ წუთზე, ცხრის თხუთმეტ წუთში, ცხრის თხუთმეტ წუთს).
3. მე კოლეჯში მივდივარ _____ (ათს რომ ოცი წუთი აკლია, ათს აკლია ოცი წუთი, ათს აკლია ოც წუთზე).
4. შენ კოლეჯში _____ (ორშაბათი, ორშაბათს, ორშაბათზე) მიდიხარ?
5. ანას ლექცია აქვს _____ (სამშაბათზე, სამშაბათში, სამშაბათს). _____ (თერთმეტის ნახევარში, თერთმეტის ნახევარზე, თერთმეტის ნახევარს).
6. დათო იძინებს _____ (პირველის ოცდახუთ წუთს, პირველის ოცდახუთ წუთში, პირველის ოცდახუთ წუთზე).
7. სპექტაკლი არის _____ (ოთხშაბათს, ოთხშაბათში, ოთხშაბათზე). და _____ (ხუთშაბათს, ხუთშაბათში, ხუთშაბათზე).
8. ბექა შინ იქნება _____ (კვირას, კვირაში, კვირაზე).

ბ) მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და შეამოწმეთ თქვენ მიერ შესრულებული დავალება.

დავალება 7

დაწერეთ მეორე წინადადება პირველი წინადადების მიხედვით.

1. შენ სწავლობ ქართულს.
   ის _____
2. ჩვენ ვიბანთ ხელებს.
   თქვენ _____
3. ისინი იღვიძებენ შვიდ საათზე.
   ჩვენ _____
4. მე ვიძინებ თორმეტის ნახევარზე.
   შენ _____
5. ის სვამს წვენს.
   მე _____
6. ნინო და დათო მიდიან ტაქსით.
   თქვენ _____
7. თქვენ ჭამთ ხაჭაპურს?
   ისინი _____
8. ისინი არ სწავლობენ იტალიურს, ისინი სწავლობენ ესპანურს.
   ჩვენ _____
9. დღეს არის პარასკევი.
   გუშინ _____
10. გუშინ იყო შაბათი.
    ხვალ _____
11. ხვალ იქნება კვირა.
    დღეს _____
12. ხვალ იქნება სამშაბათი.
    გუშინ _____

დავალება 8

ა) ისაუბრეთ თქვენი ერთი დღის გეგმის შესახებ.

ბ) კითხვები დაუსვით თქვენს მეგობარს ამ თემაზე და უპასუხეთ მის კითხვებსაც.

გაკვეთილი 9

დავალება 1 წინადადებაში სიარულის გამომხატველი სიტყვა ჩასვით საჭირო ფორმით.

1. შენ _____ თეატრიდან?
2. მე _____ შინ.
3. შენ ცხრა საათზე _____ უნივერსიტეტში?
4. გიორგი _____ ავტობუსში.
5. ის ოფისში_____ ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს.
6. თაკო _____ ავტობუსიდან.
7. მე _____ მუზეუმში.
8. ნინო ავტობუსით _____ შინ.
9. შენ არ _____ ოფისში დღეს?
10. ჩვენ ახლა _____ მუზეუმში. თქვენ სად ხართ? არ _____

დავალება 2 ფრჩხილებში მოცემული სიტყვები წინადადებებში ჩასვით საჭირო ფორმით.

1. მე ლექციები არ მაქვს _____ (ორშაბათი).
2. _____ (შემოდგომა) უფრო გრილა.
3. _____ (ზაფხული) ცხელა.
4. კონფერენცია _____ (სექტემბერი) არის?
5. კონცერტი შვიდ _____ (მარტი) არის.
6. _____ (მაისი) წელიწადის მეხუთე თვეა.
7. _____ (მაისი) ხშირად წვიმს.
8. მათ ოც _____ (მაისი) აქვთ პრეზენტაცია.
9. _____ (ზამთარი) ძალიან ხშირად თოვს.
10. საქართველოში _____ (ზამთარი) ყველაზე ცივი წელიწადის დროა.
11. _____ (ზამთარი) თვეებია: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი.
12. მარტი არ არის _____ (ზამთარი) თვე. მარტი _____ (გაზაფხული) თვეა.
13. _____ (ხუთშაბათი) არის _____ (ოთხშაბათი) შემდეგ.
14. სპექტაკლი არის _____ (პარასკევი) შვიდ _____ (საათი).
15. ქართული ენის დღე არის თოთხმეტ _____ (აპრილი).
16. დღეს არის ოცდაერთი _____ (ივნისი).

დავალება 3

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი. ჩაინიშნეთ ანას, ლუკასა და ელენეს მონაცემები, შეადარეთ ერთმანეთს და დაწერეთ წინადადებები თვისების ხარისხის გამოხატვით.

1. ანა _____ (მაღალი), ვიდრე _____.
2. ელენე _____ (დაბალი).
3. ლუკა _____ (მაღალი).
4. ელენე _____ (მსუქანი), ვიდრე _____.
5. ანა _____ (გამხდარი), ვიდრე _____.
6. ანა _____ (გამხდარი).
7. ლუკა _____ (მძიმე).
8. ანა _____ (მსუბუქი).
9. ელენე _____ (მსუბუქი), ვიდრე _____.
10. ლუკა _____ (მძიმე), ვიდრე _____.

დავალება 4

თქვენი რამდენიმე მეგობრის გარეგნობა შეადარეთ ერთმანეთს და ისაუბრეთ. გამოიყენეთ შედარების ქვემოთ მოყვანილი კონსტრუქციები:

1. უფრო მაღალია, ვიდრე...
2. უფრო დაბალია, ვიდრე...
3. ყველაზე მაღალია...
4. ყველაზე დაბალია...
5. უფრო მსუქანია, ვიდრე...
6. უფრო გამხდარია, ვიდრე...
7. ყველაზე მსუქანია...
8. ყველაზე გამხდარია...
9. უფრო მსუბუქია, ვიდრე
10. უფრო მძიმეა, ვიდრე...
11. ყველაზე მსუბუქია...
12. ყველაზე მძიმეა...

დავალება 5

ნახატების მიხედვით დაწერეთ შედარების გამომხატველი წინადადებები. გამოიყენეთ სიტყვები: ძვირი, იაფი, ცხელი, ცივი, მძიმე, მსუბუქი.



45 C⁰



70 C⁰




87 C⁰

1. _____
2. _____
3. _____



ფასი: 59 ლარი




ფასი: 86 ლარი



ფასი: 61 ლარი 50 თეთრი


4. _____
5. _____
6. _____



1.5 კილოგრამი



2 კილოგრამი



460 გრამი

7. _____
8. _____
9. _____

დავალება 6 წინადადებაში ჩასვით რიგის გამომხატველი სიტყვა.

1. ოთხშაბათი კვირის _____ დღეა.
2. ორშაბათი კვირის _____ დღეა.
3. პარასკევი კვირის _____ დღეა.
4. მარტი წელიწადის _____ თვეა.
5. ივლისი წელიწადის _____ თვეა.
6. სექტემბერი წელიწადის _____ თვეა.
7. იანვარი წელიწადის _____ თვეა.
8. იანვარი ზამთრის _____ თვეა.
9. აგვისტო ზაფხულის _____ თვეა.
10. ოქტომბერი შემოდგომის _____ თვეა.

დავალება 7

მოისმინეთ აუდიოჩანაწერები. თანამიმდევრობით დაალაგეთ არეული წინადადებები და თითოეულ დიალოგს შეურჩიეთ შესაბამისი სათაური: თეატრში, ბაზარში, უნივერსიტეტში, კაფეში.

1. _____.

☐ – გმადლობთ!
☐ – წვენი – სამი ლარი, ყავა – ოთხი ლარი, სალათა – რვა ლარი, კრუასანი – ორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი. სულ – ჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი.
☐ – აი, თქვენი ხურდა: ორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი.
☐ – აი, ინებეთ ოცი ლარი.

2. _____.

☐ – ორი ლარი.
☐ – რა ღირს ვაშლი?
☐ – აი, თქვენი ვაშლი.
☐ – გმადლობთ!
☐ – ინებეთ ხუთლარიანი.
☐ – ორი კილო ვაშლი მინდა.
☐ – აი, თქვენი ხურდა: ლარი.
☐ – არაფრის!

3. _____.

☐ – გამარჯობა!
☐ – ხუთშაბათს და პარასკევს.
☐ – რვას რომ თხუთმეტი წუთი აკლია.
☐ – გამარჯობა!
☐ – გმადლობთ!
☐ – როდის არის სპექტაკლი „ქალები“?
☐ – რომელ საათზე იწყება სპექტაკლი?
☐ – ორი ბილეთი მინდა. აი, თანხა!
☐ – აი, თქვენი ბილეთები და ხურდა!
☐ – არაფრის!

4. _____.

☐ – ნახვამდის!
☐ – სამშაბათს!
☐ – არა, ჩემი მანქანით.
☐ – დიახ! ახლა იქ მივდივარ.
☐ – ოცდაოთხი მარტი როდის არის?
☐ – სამშაბათს, ცხრა საათზე, მაქვს კონცერტი. დღეს რეპეტიცია მაქვს.
☐ – მიდიხარ?
☐ – ტაქსით მიდიხარ?
☐ – აბა, ნახვამდის!

დავალება 8 დაალაგეთ თანამიმდევრობით.

1. ხუთშაბათი, ოთხშაბათი, ორშაბათი, კვირა, პარასკევი, სამშაბათი, შაბათი

2. შემოდგომა, გაზაფხული, ზამთარი, ზაფხული

3. იანვარი, ნოემბერი, აპრილი, აგვისტო, დეკემბერი, ივნისი, ოქტომბერი, ივლისი, მაისი, თებერვალი, სექტემბერი, მარტი

4. პირველს აკლია ოცდახუთი წუთი, რვის ნახევარია, ათს აკლია ოცი წუთი, ხუთს აკლია ოთხი წუთი, ექვსის ექვსი წუთია, თერთმეტის ხუთი წუთია, ოთხს აკლია ხუთი წუთი, თორმეტს აკლია ათი წუთი, პირველი საათია, ათის თხუთმეტი წუთია, პირველის ოცდახუთი წუთია, ცხრა საათია,ორს აკლია ხუთი წუთი, შვიდს აკლია ხუთი წუთი, თორმეტის ნახევარია, ორის ნახევარია

5. მეოთხე, პირველი, მერვე, მეთხუთმეტე, მეხუთე, მეცხრამეტე, ოცდამესამე, მეშვიდე, მეთერთმეტე, მეათე, მეექვსე, მეცხრე, მეთორმეტე, მეთოთხმეტე, მეორე

დავალება 9 აირჩიეთ ქვემოთ მოცემული თემებიდან ერთ-ერთი და ისაუბრეთ.

1. ჩემი ერთი დღის გეგმა
2. ჩემი ოჯახის წევრის/მეგობრის გარეგნობა
3. ჩვენ მივდივართ კონცერტზე/კინოში/თეატრში...

გაკვეთილი 10

დავალება1 ზმნა სათანადო ფორმით ჩასვით წინადადებაში.

1. მე ახლა _____ (არის) შინ.
2. ახლა ისინი კარგად _____ (ერთობა).
3. გიორგი ხვალ _____ (მიდის) უნივერსიტეტში.
4. ანა ოცი წუთის წინ _____ (არის) აქ.
5. ნინო გუშინ _____ (არის) ოფისში.
6. შენ ხვალ მეორე ჟურნალიც _____ (აქვს) ?
7. გვანცა სად _____ (მიდის) ახლა?
8. გუშინ თქვენ კარგად _____ (ერთობა)?
9. ის ორ წუთში _____ (შედის) კოლეჯში.
10. ჩვენ ხუთი წუთის შემდეგ კაფეში _____ (არის).
11. ორი დღის მერე ბაკურიანში ვიქნებით და კარგად _____ (ერთობა).
12. შენ ახლა სად _____ (მუშაობს)?
13. ლაშა ტელევიზიაში _____ (მუშაობს) სამი წლის წინ.
14. მე შვიდ საათზე თეატრში _____ (იქნება).
15. სად _____ (გადის) დათო გუშინ?
16. ანა სად არის? გუშინ აქ _____ (არის). მე _____ (ნახა).
17. პროგრამას ხვალ _____ (სწავლობს).
18. ორი წლის მერე შენ კარგი სამსახური _____ (აქვს).
19. თქვენ რატომ არ _____ (მუშაობს) პროექტზე.
20. მათ ტრენინგი კვირაში ოთხჯერ _____ (აქვს).

დავალება 2 ცხრილში ჩაწერეთ გამოტოვებული ზმნები.

	ახლა	გუშინ	ხვალ	ახლა	გუშინ	ხვალ	ახლა	გუშინ	ხვალ
მე	ვარ				გავერთე	გავერთობი			ვიმუშავებ
შენ			იქნები	ერთობი			მუშაობ		
ის		იყო				გაერთობა			
ჩვენ				ვერთობით					
თქვენ	ხართ				გაერთეთ			მუშაობდით	
ისინი		იყვნენ	იქნებიან			გაერთობიან	მუშაობენ		იმუშავებენ

	ახლა	გუშინ	ხვალ	ახლა	გუშინ	ხვალ	ახლა	გუშინ	ხვალ
მე	მოვდივარ						შევდივარ		შევალ
შენ		მოხვედი		გადიხარ			შედიხარ		
ის	მოდის				გავიდა			შევიდა	
ჩვენ			მოვალთ			გავალთ		შევედით	
თქვენ				გადიხართ					შეხვალთ
ისინი		მოვიდნენ							

დავალება 3 მოისმინეთ აუდიოჩანაწერები და წინადადებებში სწორი ფორმით ჩასვით გამოტოვებული სიტყვები.



– გამარჯობა, ანა!
– გამარჯობა, ბექა!
– როგორ ხარ?
– კარგად. შენ?
– მეც – კარგად.
სად მიდიხარ, _____?
– დიახ!
– დედაჩემიც ყაზბეგის _____
მიდის _____ და წახვალ შენც?
– დიახ, ძალიან კარგია! დიდი მადლობა!
– არაფრის!

– გამარჯობა, თეატრის სალაროა?
– დიახ!
– დღეს რა სპექტაკლია?
– რიჩარდ მესამე.
– რომელ საათზე იწყება სპექტაკლი?
– _____.
– ბილეთები არის?
– დიახ!
– _____ მოვალ და ბილეთები იქნება?
– არ ვიცი, _____ ბილეთები იქნება თუ არ იქნება.

– სად არის, თაკო?
– რუსთაველის _____, მეტრო _____.
– სად წავა ახლა?
– ახლა გავა მეტრო _____, მერე წავა მარჯვნივ, მერე გადავა მეორე მხარეს, მერე ივლის _____. შემდეგ მარჯვნივ ავა _____ და შევა _____.
– _____ ვინ იქნება?
– თაკოს მეგობრები.

დავალება 4

წინადადებაში ჩასვით საჭირო კავშირი: „და“, „ან“, „თუ“.

1. წვენს დალევ _____ წყალს?
2. წვენსაც დავლევ _____ წყალსაც.
3. ისინი დასასვენებლად მიდიან _____ ექსკურსიაზე.
4. გიორგი, შენ და გყავს _____ ძმა?
5. შენ ყვითელი _____ ყავისფერი ფეხსაცმელები გაქვს?
6. ანა, ყავა გინდა _____ ჩაი?
7. მე წითელი კაბაც მაქვს _____ ლურჯიც.
8. ჩემი და _____ ძმა აქ არიან.
9. შენ მიდიხარ _____ მოდიხარ?
10. დათო, ლექცია ხუთ საათზე გაქვს _____ შვიდ საათზე?

დავალება 5

დაწერეთ წინადადებებზე პასუხი.

მაგალითი:

– ანა, რატომ არ მოდიხარ თეატრში? (ლექცია აქვს)
– იმიტომ, რომ ლექცია მაქვს.

1. – გიორგი, ახლა რატომ სწავლობ? (ხვალ მუზეუმში მიდის)

_____

2. – ბექა, რატომ არ გინდა წვენი? (აქვს ჩაი)

_____

3. – რატომ არ მიდის ნინო ფეხით? (მიდის ავტობუსით)

_____

4. – ახლა რატომ ისვენებს ელენე? (შვებულება აქვს)

_____

5. – თორნიკე, რატომ არ ჭამ ხაჭაპურს? (ხაჭაპური ცხელია)

_____

6. – გვანცა, რატომ არ ჭამ სალათას? (არ მოსწონს)

_____

დავალება 6

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და წარმომავლობის აღმნიშვნელი სიტყვები ჩაწერეთ ცხრილში.

ქვეყანა	-ელ	-ურ/-ულ

დავალება 7

წინადადებაში ჩასვით მართებული სიტყვა საჭირო ფორმით.

1. სამშაბათი არის კვირის _____ (ორი, მეორე, ორჯერ) დღე.
2. მას ტრენინგები კვირაში _____ (სამი, მესამე, სამჯერ) აქვს.
3. ეს ჩემი _____ (ოთხი, მეოთხე, ოთხჯერ) დაა.
4. მაისი წელიწადის _____ (ხუთი, მეხუთე, ხუთჯერ) თვეა.
5. _____ (რვა, მერვე, რვაჯერ) მანქანა არ მიდის. ის აქ არის.
6. ჩემი _____ (ორი, მეორე, ორჯერ) ძმა შინაა. _____ (სამი, მესამე, სამჯერ) – კოლეჯშია. ის კოლეჯის სტუდენტია.
7. ახლა _____ (შვიდი, მეშვიდე, შვიდჯერ) საათია.
8. ჩვენ უნივერსიტეტში კვირაში _____ (ოთხი, მეოთხე, ოთხჯერ) დავდივართ.

დავალება 8

ჰკითხეთ თქვენი ჯგუფის წევრს მონაცემები და შეადგინეთ მისი ანკეტა.

დავალება 9

ცხრილში ჩაწერეთ გამოტოვებული სიტყვები.

ესპანეთი		
	ჩინური	
		ბრიტანელი
	მექსიკური	
ბრაზილია		
	უკრაინული	
		ჰოლანდიელი

დავალება 10

ისაუბრეთ თქვენი დასვენების შესახებ. გამოიყენეთ კითხვები:

1. სად ისვენებ?
2. როდის მიდიხარ დასასვენებლად?
3. როგორია შენი დასვენება: პასიური თუ აქტიური? რატომ?

დავალება 11

მისწერეთ თქვენი ოჯახის წევრს წერილი თქვენი დასვენების შესახებ.



გაკვეთილი 11

დავალება 1

მოიფიქრეთ და დაწერეთ წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით.

ბაღი, სკამი, ყვავილი, ტელევიზორი, კაბინეტი, ტუალეტი, აბაზანა, მაგიდა, სავარძელი, ხე, კარადა, საძინებელი, სამზარეულო, გაზქურა, მაცივარი, ბუჩქი, დივანი, მისაღები ოთახი.

მაგალითი: ***ჩემს ბაღში არის ბუჩქები და ხეები.***

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____

დავალება 2

წინადადებებში ჩაწერეთ სიტყვები შესაბამისი ფორმით.

1. მე სიღნაღში ორი ათას წლამდე _____ (ცხოვრობს).
2. ისინი ახლა თბილისში _____ (ცხოვრობს).
3. თქვენ ახლა სად _____ (ცხოვრობს) ?
4. თქვენ _____ (საუბრობს) ქართულად?
5. ჩვენ _____ (საუბრობს) ანას წიგნზე.
6. მას ძაღლები _____ (უყვარს) თუ კატები?
7. მე არ _____ (უყვარს) ცხელი ყავა.
8. რა _____ (ჰქვია) თქვენ?
9. შენ _____ (დაიბადა) ამერიკაში.
10. სად _____ (დაიბადა) პეტრე?
11. ელენე, სად _____ (აგზავნის) წერილს?
12. მე ახლა _____ (აგზავნის) წერილს ინტერნეტით.

დავალება 3

დაასრულეთ სიტყვები, გამოიყენეთ „ც“ ან „ვე“.

1. ის თბილისში__ ცხოვრობდა და თელავში__.
2. მე ორი__ ქუჩაზე ვიყავი.
3. აქ არ არის სუპერმარკეტი. აქ კაფე__ არ არის.
4. ჩემი სამი__ მეგობარი აქ არის.
5. აი, თქვენი ჩაი. აი, თქვენი ხაჭაპური__.
6. ანა მოდის მუზეუმში და მე__ მოვდივარ.
7. ისინი იმიტომ არ მოვიდნენ, რომ წვიმს და ქარი__ ქრის.
8. ნინოს და ნინოზე უფროსია. მე__ ნინოზე უფროსი ვარ.

დავალება 4

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და გადახაზეთ ის რიცხვები, რომლებსაც გაიგონებთ.

102, 125, 105, 113, 130, 145, 154, 187, 178, 200, 212,

221, 440, 450, 540, 389, 399, 617, 627, 874, 784, 208,

802, 820, 2000, 2034, 2038, 2250, 2256,

2255, 18500, 15 000, 1977, 997, 16501, 28501



დავალება 5

გამოხატეთ თვისების ხარისხი „უფრო“ და „ყველაზე“ სიტყვების გამოყენებით.

1. რძე _____ ცხელია, ვიდრე ჩაი.
2. გიორგი ოჯახში _____ მაღალია.
3. ზამთარი საქართველოში _____ ცივი წელიწადის დროა.
4. ეს ღვინო _____ კარგია, ვიდრე ის ღვინო.
5. ეს პიჯაკი წითელია. ის პიჯაკი _____ წითელია, ვიდრე პირველი პიჯაკი. მესამე პიჯაკი _____ წითელია.
6. ივლისი და აგვისტო _____ ცხელი თვეებია საქართველოში.
7. ყავა _____ ცხელია.
8. ნინო პეტრეზე უფროსია. გვანცა ნინოზე უფროსია. გვანცა _____ უფროსია.
9. ეს თბილისის _____ ძველი ქუჩაა.
10. ეს ჩემი _____ ახალი კაბაა.
11. ანა და ქეთი გიორგიზე უმცროსები არიან. ანა ქეთიზე უმცროსია. ანა _____ უმცროსია.
12. გაზაფხული _____ თბილი წელიწადის დროა, ვიდრე შემოდგომა.
13. ნუცა ოჯახში _____ უმცროსია.
14. ეს ბიჭი _____ მაღალია, ვიდრე ის ბიჭი.
15. ეს _____ ძვირი კაფეა თბილისში.
16. ეს ჩანთა _____ დიდია, ვიდრე ის ჩანთა.
17. ჩემი საძინებელი ოთახი _____ ნათელია, ვიდრე დედაჩემის საძინებელი ოთახი.
18. მარიამი ოჯახში _____ გამხდარია.

დავალება 6

ქვემოთ მოცემულ სიტყვებს მიუწერეთ ანტონიმები.

1. მაღალი – _____
2. იაფი – _____
3. გრილი – _____
4. ნათელი – _____
5. ცხელი – _____
6. დიდი – _____
7. მსუბუქი – _____
8. კარგი – _____
9. ძველი – _____

დავალება 7

წაიკითხეთ ტექსტი და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები: **და / ან / თუ / არც**

ეს ჩვენი სახლია. აქ ვცხოვრობთ მე, დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი და _____ ძმა. ახლა შინ დედა _____ ჩემი ძმა არიან. დღეს თბილა _____ ჩემი და სახლის წინ ბაღშია. მამაჩემიც იქ არის. მამა ახლა ან სკამზე ზის _____ ბაღში სეირნობს. ჩემი და სკამზე არ ზის. ის _____ სეირნობს. ის ყვავილებს რწყავს. ჩემი ძმა, ალბათ, კაბინეტში _____ მისაღებ ოთახშია. ამ სახლში არ ცხოვრობს ბაბუაჩემი, _____ ბებია. ისინი მარჯანიშვილის ქუჩაზე ცხოვრობენ. ისინი ზოგჯერ ჩვენთან მოდიან. ნინო აქ ხვალ მოვა _____ სამი დღის შემდეგ?

დავალება 8

ა) დაასრულეთ სიტყვები, გამოიყენეთ შემდეგი დაბოლოებები:
ის, ს, ით, ში, ზე, იდან, ამდე, ც, ჯერ, არც

ანა არ არის შინ. ის მიდის უნივერსიტეტ_____. ანა გავიდა სახლ_____, ის გავიდა ქუჩა_____. ის ახლა არის რუსთაველ_____ გამზირ_____. ის მიდის ვაკე_____. ის ახლა ადის ავტობუს_____. ის ავტობუს_____ მიდის უნივერსიტეტ_____. ის ხან ფეხ_____ მიდის უნივერსიტეტ_____. ავტობუსი მიდის უნივერსიტეტ_____. ის მიდის რუსთაველ_____ გამზირ_____ და შემდეგ ვაკე_____. უნივერსიტეტი არის ვაკე_____. ანა ჩამოვა ავტობუს_____ და შევა უნივერსიტეტ_____. შემდეგ ავა კიბე_____ და შევა აუდიტორია_____. აუდიტორია_____მას ლექცია აქვს. ლექციები ანას აქვს ორშაბათ_____ პარასკევ_____. ორშაბათ_____ მას ლექციები აქვს ცხრა საათ_____ ორ საათ_____. სამშაბათ_____ და ოთხშაბათ_____ მას ლექციები არ აქვს ცხრა საათ_____. ორივე დღეს ლექციები ათ_____ ნახევრ_____ პირველ_____ ნახევრ_____ აქვს. ის სწავლობს მენეჯმენტ_____, ინგლისურ_____, გერმანულ_____, იტალიურ_____. ანა კარგად სწავლობს. ის კვირაში სამ_____ ენებ_____ ცენტრში_____ დადის. ანა შაბათ_____ არ სწავლობს. ის _____ კვირა_____ სწავლობს.

ბ) მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და შეამოწმეთ თქვენ მიერ შესრულებული დავალების სისწორე.

დავალება 9

ა) სიტყვები ჩასვით სწორი ფორმით.

მე _____ (დაიბადა) _____ (ათას ცხრაას ოთხმოცდაათი წელი), _____ (თხუთმეტი სექტემბერი) _____ (საქართველო). ჩემი და _____ (დაიბადა) _____ (ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი წლის ოცი მარტი). ის ჩემზე ხუთი წლით უმცროსია. ჩემი ძმა (დაიბადა) _____ (ორი ათასი წელი). ის უფრო უმცროსია, ვიდრე ჩემი და. მე ყველაზე უფროსი ვარ. ჩემი დაც და ძმაც _____ (საქართველო) _____ (დაიბადა).

ბ) დაწერეთ, სად და როდის დაიბადეთ თქვენ. თქვენი ოჯახის წევრები?









დავალება 10

ა) ქვემოთ მოცემული თემებიდან აირჩიეთ სასურველი თემა და ისაუბრეთ.

1. ჩემი სახლი (სად არის თქვენი სახლი? რა ოთახებია სახლში?..)
2. ჩემი ოთახი (როგორია თქვენი ოთახი? რა არის ოთახში?..)
3. სად და როდის დავიბადეთ ჩვენ? (სად და როდის დაიბადეთ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები? ვინ არის ოჯახში ყველაზე უმცროსი, უფროსი?..)

ბ) იმავე თემებზე კითხვები დაუსვით თქვენი ჯგუფის წევრს.

გაკვეთილი 12

დავალება 1

წინადადებაში ჩასვით მოცემული ვარიანტებიდან უფრო შესაფერისი.

1. ერეკლე, ხვალ ოფისში _____ (მიდი / მიბრძანდით).
2. ქალბატონო, ანა, _____ (ჭამე / მიირთვით) სალათა.
3. ბატონო ბექა, თქვენ აქ _____ (დაჯექი / დაბრძანდით).
4. ბატონო გიორგი, _____ (ადექი / აბრძანდით) და იმ სკამზე _____ (დაჯექი / დაბრძანდით).
5. თაკო, შენ იქ _____ (დაჯექი / დაბრძანდით).
6. გიორგი, ეს ხაჭაპური ახალია. _____ (ჭამე / მიირთვით).
7. ეს ბნელი ოთახია და შენ იმ ოთახში _____ (დაჯექი / დაბრძანდით).
8. ქალბატონო თინა, აქ _____ (მოდი / მობრძანდით).

დავალება 2

წინადადებაში ზმნა ჩასვით საჭირო ფორმით.

1. ელენე _____ (ზის) ბაღში.
2. ისინი _____ (ზის) თეატრში.
3. ჩვენ _____ (ზის) მისაღებ ოთახში.
4. სად არის შენი ადგილი? სად _____ (ზის)?
5. მე _____ (დგას) კოსტავას ქუჩაზე.
6. თქვენ აქ რატომ _____ (დგას)?
7. სტუდენტები _____ (დგას) უნივერსიტეტის წინ.
8. ნინო, რატომ _____ (დგას)? მოდი, აქ დაჯექი.

დავალება 3

მთელის ნაწილი გამოხატეთ სიტყვიერად.

1/2 – _____

1/4 – _____

1/6 – _____

1/8 – _____

1/3 – _____

1/5 – _____

1/7 – _____

1/9 – _____

დავალება 4

ჩასვით მისათითებელი სიტყვები.

ა) **ეს** თუ **ამ**?

1. ვისია _____ წვენი?
2. _____ ბიჭის ძმა და მე კოლეჯში ვსწავლობთ.
3. _____ სახლის წინ ხეებია.
4. _____ სახლი პაპაჩემის იყო.
5. _____ კაცი მამაჩემია. მას დავითი ჰქვია.
6. _____ უნივერსიტეტს ორი ათასი სტუდენტი ჰყავს.
7. _____ სახლს სამი კიბე აქვს.
8. მე _____ სახლში ვცხოვრობ.
9. ჩვენ _____ კაფეში ხშირად დავდივართ.
10. მე ძალიან მიყვარს _____ სპექტაკლი.

ეს

ამ

ბ) **ის** თუ **იმ**?

1. გიორგი _____ ბანკში შევიდა?
2. მე _____ კაბას ვიყიდი.
3. _____ ბიჭს შავი თვალები და შავი თმა აქვს.
4. _____ კრუასანს შოკოლადი აქვს?
5. _____ კაცი უფრო მაღალია, ვიდრე ერეკლე.
6. _____ უნივერსიტეტში დღეს კონფერენციაა.
7. _____ ბაღში სკამები არის?
8. დედაჩემი _____ ბანკის მენეჯერია.
9. ანა _____ კოლეჯის სტუდენტია.
10. _____ სახლი ორი ათას შვიდ წელს ჩვენი იყო.

იმ

ის

დავალება 5

ა) მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და უპასუხეთ კითხვებს.

1. რა იცის მან? _____
2. რა არ იცის მან? _____
3. რა შეუძლია მას? _____
4. რა არ შეუძლია მას? _____
5. რა უნდა მას? _____

ბ) უპასუხეთ იმავე კითხვებს თქვენ შესახებ.

დავალება 6

წინადადებაში სიტყვა ჩასვით საჭირო ფორმით.

1. ამ _____ (ოფისი) მენეჯერი დედაჩემია.
2. ნინო შევიდა _____ (მუზეუმი).
3. სპექტაკლი იწყება _____ (შვიდი საათი).
4. შენ გინდა _____ (ხელები) დაბანა?
5. ანას უნდა _____ (ნინო) ნახვა.
6. ჩვენ გვინდა _____ (ქართული) სწავლა.
7. მას არ შეუძლია _____ (კაფე) მოსვლა.
8. მან არ იცის _____ (ქართული) კარგად.
9. მათ არ უნდათ _____ (ხაჭაპური) ჭამა.
10. გვანცა ჩადის _____ (კიბე).
11. პროფესორი შედის _____ (აუდიტორია).
12. მენეჯერი გადის _____ (ოთახი).
13. დიდი მაგიდა არის _____ (სამზარეულო).
14. ტაქსი მიდის _____ (თაბუკაშვილის ქუჩა).
15. მე ვმუშაობ _____ (ცხრა საათი) _____ (ექვსი საათი).
16. _____ (ქალბატონი ნინო), აქ მობრძანდით!
17. მას ხვალ შეუძლია _____ (მეგობარი) ნახვა.
18. ის ახლა ოფისშია და არ შეუძლია _____ (პიცა) ჭამა.
19. აქ ხმაურია და არ შემიძლია მუშაობა. გვანცა, გადი _____ (ოთახი)!
20. ამ _____ (სახლი) ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი.

დავალება 7

შეავსეთ ანკეტა თქვენი მონაცემებით.



სახელი: _____

გვარი: _____

ასაკი: _____

ეროვნება: _____

ქვეყანა: _____

დაბადების ადგილი: _____

დაბადების წელი: _____

ოჯახი: _____

საქმიანობა: _____

მისამართი: _____

ტელეფონის ნომერი: _____

ელფოსტა: _____

დავალება 8

მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და უპასუხეთ კითხვებს .



1. სად რეკავს ანა?
2. რა უნდა ანას?
3. ანა სწავლობს თუ მუშაობს?
4. ვისი ნახვა უნდა ანას?
5. რამდენი წლის არის ანა?
6. რომელ საათზე მივა ანა კაფეში?
7. რა არის ანას ტელეფონის ნომერი?

დავალება 9

წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს (შემოხაზეთ სწორი პასუხი).



1. პაატა ბურჭულაძე არის დიდი ქართველი მომღერალი. ის დაიბადა ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი წლის თორმეტ თებერვალს თბილისში.
2. პაატა ბურჭულაძე სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში. შემდეგ, ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი წლიდან ათას ცხრაას ოთხმოც წლამდე, მას სტაჟირება ჰქონდა იტალიაში, „ლა სკალაში“.
3. ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი წლიდან პაატა ბურჭულაძე იყო თბილისის ოპერის და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი. ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი წლიდან ის ცხოვრობს და მუშაობს ავსტრიაში.
4. პაატა ბურჭულაძე ბევრი კონკურსის ლაურეატია. ის ხშირად არის თბილისში. პაატა ბურჭულაძე არის „იავნანას“ პრეზიდენტი. „იავნანა“ არის საქველმოქმედო ფონდი. ფონდი ეხმარება გაჭირვებულ ოჯახებს.

1. ტექსტი ეხება:
ა. პაატა ბურჭულაძის იტალიაში და ავსტრიაში მუშაობას;
ბ. პაატა ბურჭულაძის სწავლას;
გ. პაატა ბურჭულაძის ცხოვრებას.

2. პაატა ბურჭულაძე არის:
ა. დიდი ქართველი მწერალი;
ბ. დიდი ქართველი მომღერალი;
გ. დიდი ქართველი პოეტი.

3. ტექსტის მეორე ნაწილი ეხება:
ა. პაატა ბურჭულაძის სწავლას;
ბ. პაატა ბურჭულაძის ოჯახს;
გ. პაატა ბურჭულაძის ფონდს.

4. ტექსტის რომელი ნაწილი ეხება პაატა ბურუჭულაძის საოპერო მუშაობას?
ა. პირველი;
ბ. მესამე;
გ. მეოთხე.

5. ტექსტის რომელი ნაწილი ეხება პაატა ბურჭულაძის ქველმოქმედებას?
ა. მეორე;
ბ. მესამე;
გ. მეოთხე.

ტექსტი ეხება ≈ ტექსტში საუბარი არის

დავალება 10

ა) ისაუბრეთ თქვენი სწავლის და მუშაობის შესახებ.

ბ) დაუსვით კითხვები თქვენი ჯგუფის წევრს სწავლის და მუშაობის შესახებ.

მოსასმენი დავალებების ბეჭდური ვარიანტები

გაკვეთილი 1

დავალება 1

ოფისი, კომპიუტერი, კაფე, აეროპორტი, ტელეფონი, ინტერნეტი, სტუდენტი, პასპორტი, სუპერმარკეტი.

დავალება 3

კა, კე, კო;
ლე, ლი, ლო, ლუ;
მე, მო, მუ;
ნა, ნე, ნი, ნუ;
პე, პი, პო;
რა, რე, რო, რუ;
სე, სი, სო, სუ;
ტე, ტი, ტო;
ფა, ფე, ფი, ფო.

დავალება 7

აი, ოფისი.
ეს ოფისია.
ეს არ არის კაფე.
ეს არის სუპერმარკეტი.
ეს არ არის აეროპორტი.
ეს არის აეროპორტი.
ეს ტელეფონია.
ეს კომპიუტერია.
აი, კომპიუტერი.
ეს ლალაა.

დავალება 8

1. კომპიუტერი
2. ფოტო
3. ტელეფონი
4. ინტერნეტი
5. პასპორტი
6. ტურისტი

გაკვეთილი 2

დავალება 1

თბილისი, ავსტრალია, შანხაი, პარიზი, აფრიკა, რომი, ვაშინგტონი, ტოკიო, ევროპა, მადრიდი, ათენი, ბერლინი, ამერიკა.

დავალება 5

მე ვარ დავითი.
მე არ ვარ ანა.
ეს არ არის თორნიკე.
მე ვარ ზურაბი.
მე ვარ ლაშა.
ეს არ არის პარიზი.
ეს არ არის ტოკიო.

დავალება 8.ბ

1. გამარჯობა, მე ვარ ლუკა.
2. ეს არის ბერლინი?
3. ეს არ არის დემეტრე.
4. ეს არ არის კომპიუტერი.
5. ეს არის ოფისი?
6. აი, ევროპა.
7. დიახ, ეს არის რომი.
8. არა, ეს არ არის ავსტრალია.
9. არა, ეს არ არის თეატრი.

დავალება 9

1. ტოკიო
2. პარიზი
3. ნიკო
4. ნუცა
5. სტუდენტი
6. ავსტრალია

გაკვეთილი 3

დავალება 1

ჟა, ჟე, ჟო, ჟუ;
ქა, ქო, ქუ;
ღა, ღი, ღო, ღუ;
ჩე, ჩი, ჩო;
პა, პი, პო.

დავალება 3

1. დირექტორი
2. ტაქსი
3. ავტობუსი
4. პროდუქტი
